

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

აკადემიური საბჭო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №19

ქ. ბათუმი

7.10.2011 წელი.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პრეტენდენტის შესარჩევი კონკურსის, პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების ცენტრში სტუდენტთა და მეზღვაურთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამების და მიმდინარე საკითხების თაობაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 8 სექტემბრის №762 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის საზღვაო აკადემიის წესდების მე-9 მუხლის მეორე და მესამე პუნქტების, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და „ფ“ ქვეპუნქტების და აკადემიური საბჭოს 2011 წლის 7 ოქტომბრის №19 ოქმის საფუძველზე სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის აკადემიურმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში გამოცხადდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პრეტენდენტის შესარჩევი კონკურსი:
 1. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს 10 ოქტომბერს და დასრულდეს 17 ოქტომბერს 12.00 საათზე.
 2. კონკურსი ჩატარდეს 17 ოქტომბერს, 14.00 საათზე.
 3. კონკურსის საფუძველზე შერჩეული პრეტენდენტი 2011 წლის 17 ოქტომბერს წარედგინოს დასამტკიცებლად წარმომადგენლობით საბჭოს.
 4. კანდიდატობის პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
 - უმაღლესი განათლება;
 - ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ ორი წლის გამოცდილება;
 5. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:
 - განცხადება;
 - უმაღლესი განათლების დამდასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის (დიპლომის) ასლი;
 - პირადობის დამდასტურებელი მოწმობის ასლი;
 - ავტობიოგრაფია/CV;
 - სამოქმედო გეგმა;
 - 2 ფერადი ფოტოსურათი , ზომით 3/4-ზე;
 6. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის ჩატარების ტექნიკური ორგანიზების უზრუნველსაყოფად შეიქმნას აკადემიის საარჩევნო კომისია.

7.აკადემიის საარჩევნო კომისია ჩამოყალიბდეს 3 წევრის შემადგენლობით.

8.კანცელარიას დაევალოს განცხადების გამოქვეყნება მისი საჯარო გაცნობის მიზნით.

9.საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილებამ განათავსოს განცხადება აკადემიის ვებგვერდზე.

2. ა)ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულ იქნას პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების ცენტრში სტუდენტთა და მეზღვაურთა მომზადებისა და გადამზადებისათვის წარმოდგენილი პროგრამები:

- GMDSS გენერალური ოპერატორის მომზადების პროგრამა;
- GMDSS გენერალური ოპერატორის- გადამზადების პროგრამა;
- GMDSS შეზღუდული ოპერატორის მომზადების პროგრამა;
- რადარული ნავიგაცია. გემის კურსის ავტომატური დატანის რადარული სისტემა.

ბ)დაევალოს საფინანსო სამსახურის უფროსს გელა ბაკურიძეს პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების ცენტრში სწავლის მსურველთათვის საფასურის დადგენა შემდეგ პროგრამებზე:

- GMDSS გენერალური ოპერატორის მომზადების პროგრამა-142სთ;
- გენერალური ოპერატორის- GMDSS გადამზადების პროგრამა-82სთ;
- GMDSS შეზღუდული ოპერატორის მომზადების პროგრამა-42სთ;
- რადარული ნავიგაცია. გემის კურსის ავტომატური დატანის რადარული სისტემა-64სთ.

გ) წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

დ)დაევალოს უცხო ენათა ციკლის ხელმძღვანელს ზურაბ ბეჟანოვს დამტკიცებული პროგრამების ინგლისურ ენაზე თარგმანის მომზადება;

ე)პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების ცენტრში სტუდენტთა და მეზღვაურთა მომზადებისა და გადამზადებისათვის პროგრამების დამტკიცების შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს ნორმატიული დოკუმენტის რეესტრში გასატარებლად.

ვ)პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების ცენტრში სტუდენტთა და მეზღვაურთა მომზადებისა და გადამზადებისათვის პროგრამები: GMDSS გენერალური ოპერატორის-მომზადების პროგრამა; GMDSS გენერალური ოპერატორის- GMDSS გადამზადების პროგრამა; GMDSS შეზღუდული ოპერატორის მომზადების პროგრამა; რადარული ნავიგაცია და გემის კურსის ავტომატური დატანის რადარული სისტემის სასწავლო პროგრამა ზემოთ აღნიშნული პროცედურების გავლის შემდეგ გაეგზავნოს აღიარებისთვის საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს.

3. ა)ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების ცენტრის დებულებაში(ნდ№2-010301-07) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

- პარაგრაფ 5.13 -ს დაემატოს პუნქტი 5.13.8 შემდეგი რედაქციით: მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დავალებით ასრულებს აუცილებლობით გამოწვეულ აკადემიის შიდა სამუშაოებს;
- პარაგრაფ 5.14-ში პუნქტი 5.14.9 შეიცვალოს შემდეგი რედაქციით: მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დავალებით ასრულებს აუცილებლობით გამოწვეულ აკადემიის შიდა სამუშაოებს;

ბ)წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

გ)პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების ცენტრის დებულებაში (ნდ№2-010301-07) შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად ინფორმაცია მიწოდებულ იქნას ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტისათვის.

სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტი -
ბათუმის სახელმწიფო
საზღვაო აკადემიის რექტორი

ნიკოლოზ წიკლაური

აკადემიური საბჭოს მდივანი

ენვერ ხავლოშვილი